სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

12 აგვისტო 2025

GOV N 2079/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ვ. წითლანაძის I შესახვევის N1-ში მდებარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სარგებლობაში არსებული შენობის პირველ სართულზე ერთი ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N001) გამოცხადების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, და 38-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2025 წლის 22 ივლისის N5617/01 წერილის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 01 აგვისტოს N5/40419 წერილისა და ფინანსური დეპარტამენტის 2025 წლის 11 აგვისტოს N14623 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქ. თბილისში, ვ. წითლანაძის I შესახვევის N1-ში მდებარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სარგებლობაში არსებული შენობის პირველ სართულზე ერთი ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის (4 კვ.მ) სარგებლობაში გაცემის მიზნით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები, წესები და ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ “საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახურს (ნანი მჭედლიშვილი) სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. N 34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო